



2016 წლის ანგარიში

ქ. თბილისი

➤ შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციამ, ერთი ქვეყნიდან მეორეში შრომითი რესურსების თავისუფალმა გადინებამ გამოიწვია ცვლილებები შრომით ბაზარზე, რამაც შესაბამისი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. ამგვარად, საჭიროა შრომის ბაზრის ადეკვატური შრომითი რესურსების პროფესიული მომზადება-გადამზადება.

➤ საკითხის აქტუალობა

აღნიშნული ცვლილებები შეეხო პროფესიულ სწავლებასაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოზარდთა და ზრდასრულთა განათლება და მათთვის თანამედროვე დაფინანსების სისტემის დანერგვა, ეს ცვლილებები ითვალისწინებს არა მხოლოდ ახალგაზრდა თაობის, ასევე ზრდასრულთა პროფესიულ გადამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. კოლეჯში სწავლის საშუალება ეძლევა ადგილობრივ და რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, მზრუნველობა მოკლებულ და უნარშეზღუდულ ადამიანებს და სხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2013 წლიდან ქვეყნისთვის პრიორიტეტული პროფესიები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლება არის მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა ასაკისა და ინტერესების მქონე ადამიანისათვის.

➤ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები

სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე.

ცენტრის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს.

ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობას;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები, რომლებიც მუდმივად ახლდება.

➤ სიტუაციური ანალიზი:

ა) **არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება** - ცენტრში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიულ პედაგოგებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები. საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო იძლევა სასწავლო პრაქტიკის გავლის კარგ შესაძლებლობას. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან. კოლეჯში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისა და დამატებითი აღჭურვის საკითხებში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან და მუდმივად გამოხატავს მზადყოფნას ითანამშრომლოს შესაბამის სამსახურებთან პროექტირებისა და შემდგომი რეალიზების პროცესში. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით კოლეჯს გამოეყო თანხა და შეძენილ იქნა სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკა და სასწავლო დანიშნულების ავეჯი. ასევე გადმოეცა გარკვეული სასწავლო-საოფისე ავეჯი. განხორციელდა კოლეჯის აღჭურვა ვიდეოთვალთვალის სისტემით და კოლეჯის ტერიტორია შემოსაზღვრა ღობით. აქტიურად გრძელდება სააგენტოსთან მუშაობა ახალი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, მათ შორის, ახალი სახელოსნოებისა და ლაბორატორიების შექმნის კუთხით.

ბ) **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილის/საგანმანათლებლო მიმართულებების განსაზღვრა** - როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, კოლეჯს მიენიჭა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მიეცა პროფესიული სტუდენტების სწავლების უფლება. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებები განსაზღვრულია ინჟინერიის, ხელოვნების, ბიზნესის ადმინისტრაციისა და სხვა მიმართულებებით. კერძოდ, ამ დროისათვის (2013 და 2014 წლებში ახალი პროგრამების დამატების შედეგად), ცენტრს აქვს უფლებამოსილება განხორციელოს მე-2, მე-3 და მე-4 საფეხურის 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი). ესენი პროგრამებია:

- **მოლარე (ზანკის და ა.შ.);**

- მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი;
- ძრავის შემკეთებელი;
- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ავტომობილის დიაგნოსტიკოსი;
- ინფორმაციული ტექნოლოგი;
- სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
- საკერავი მანქანების ოპერატორი;
- ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი);
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი);
- ბუღალტერი;
- კომპიუტერული გრაფიკოსი;
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
- სავალი ნაწილის ტექნიკოსი;
- ტოპოგრაფი.

2015-2016 წლებში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ კოლეჯში „მოდულური სწავლებისა“ და ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისათვის. ეს პროგრამებია:

- ბუღალტერი, (საფეხური V);
- ვებპროგრამისტი, (საფეხური V);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, (საფეხური III);
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (საფეხური V);
- მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი, (საფეხური III);
- მოლარე, (საფეხური III);
- ბანკის მოლარე-ოპერატორი, (საფეხური III);
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (საფეხური III);
- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (საფეხური IV);
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, (საფეხური III),

ზემოთ აღნიშნული პროცესისთვის აუცილებელია ამ პროგრამების ავტორიზაციის გავლა. ამ მიზნით, კოლეჯის მიერ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2015 წელს წარდგენილ იქნა თვითშეფასების წლიური ანგარიში და შემდგომ ამისა, მოთხოვნა ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით, კოლეჯმა მიენიჭა უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს ზემოთ აღნიშნული 8 ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებზეც მიღებები განხორციელდა როგორც 2015 წელს, ასევე 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებებისას:

- ბუღალტერი, (საფეხური V);
- ვებპროგრამისტი, (საფეხური V);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, (საფეხური III);
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (საფეხური V);
- მოლარე, (საფეხური III);
- ბანკის მოლარე-ოპერატორი, (საფეხური III);
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (საფეხური III);
- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (საფეხური IV).

რაც შეეხება 4 ახალ მოდულურ პროგრამას - „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, „მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი“, „ოფისის მენეჯერი“ და „ბუღალტერ-ტექნიკოსი“, მათი ავტორიზაცია დამოკიდებულია 2016-2017 წლებისთვის პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ინვენტარის, ხელსაწყოებისა და

აღჭურვილობის შესაძენად ფინანსური რესურსების დროულ გამოყოფასა და შემჭიდროებული ვადებში შესყიდვებზე. მათი ავტორიზაცია ამ დროისათვის გადავადებულია 2017 წლის ზაფხულისათვის (2017 წლის საშემოდგომო მიღებისათვის), მიუხედავად იმისა, რომ „ოფისის მენეჯერი“-ს და „ბუღალტერ-ტექნიკოსი“-ს „მოდულური“ პროგრამებისათვის უკვე 2016 წლის ბოლოსთვის კოლეჯი სრულად აღიჭურვა. მნიშვნელოვანია, რომ ნაწილი ტექნიკის შეძენას/გადმოცემას კოლეჯისათვის უზრუნველყოფს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. ამასთან, „მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი“-ს საგანმანათლებლო პროგრამისათვის პრაქტიკული სწავლების გარემოს შექმნის მიზნით, კოლეჯის შენობის (გლდანის, ხიზანიშვილის ქ.) მე-3 სართულზე დასრულებულია ვიტრაჟული ტიხრის მოწყობა და სასწავლო აუდიტორია გამოყოფილია.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებამ გაზარდა კოლეჯის პროფესიული სწავლებისა და ინფრასტრუქტურულ განვითარების ხარისხს. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესის დაკავშირებულია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ადამიანური რესურსების, კერძოდ კი ხარისხის მართვაში ადმინისტრაციული პერსონალის მომზადებასთან, რომელიც კოლეჯის მენეჯმენტის ახალ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

2016 წელს, ასევე მიმდინარე პერიოდისთვის, კოლეჯის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ პედაგოგთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დონის გასაუმჯობესებელ ტრენინგებში, რომლებიც მოდულური პროფესიული სწავლების რეფორმასთან არის დაკავშირებული.

პროგრამებით გათვალისწინებული სტანდარტების უზრუნველსაყოფად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და სილაბუსების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

კოლეჯის პარტნიორ კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ეტაპზე ისინი ახორციელებენ პროცესის მონიტორინგს, ხოლო საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდგომ მონაწილეობენ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტთა შეფასების პროცესში.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესთან პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაში, რათა კოლეჯის კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე წარმატებული იყვნენ.

გ) ჩართულობა სხვადასხვა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამებში:

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კოლეჯში შემუშავებულია სხვადასხვა მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები:

- ფულადი ნიშნების ექსპერტიზა;
- ბანკის მოსამზადებელი კურსი და ALTA;
- სალარო ოპერაციების მართვა;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- ბუღალტერია (ბუღალტერ-ტექნიკოსი);
- საბუღალტრო პროგრამა ORIS;
- ამზომველ-გეოდეზისტი;
- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ინფორმაციული ტექნოლოგი;
- ინფორმაციული ტექნოლოგი (კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია);
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
- ოფისის მენეჯერი;
- კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);
- ძრავის შემკეთებელი;

- **მოლარე.**

გ.ა.) 2016 წელს ისევე, როგორც გასულ წლებში კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებებში (იხ. დანართი).

გ.ბ.) 2016 წელს ისევე, როგორც გასულ წლებში კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებებში („პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების“ პროგრამაში შემავალი „ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა) (იხ. დანართი).

გ.დ.) 2016 წელს ისევე, როგორც გასულ წლებში კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის N238 დადგენილების საფუძველზე მიმდინარე სწავლებებში - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ შემუშავებული მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა ზემოაღნიშნული პროგრამით მოსარგებლეთა პროფესიული მომზადება-გადამზადება (იხ. დანართი).

გ.გ.) განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და შედეგად კოლეჯის ბიუჯეტში დამატებითი მობილიზებულ იქნა დამატებითი ფინანსური სახსრები საკუთარი შემოსავლების სახით, რომლის განკარგვა განხორციელდა/ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებით. (იხ. დანართი).

დ) კოლეჯის სიმბლავრების განსაზღვრა:

ძლიერი მხარეებია:

- თანამედროვე ინფრასტრუქტურა - კომპიუტერული და პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კლასები და ლაბორატორიები;
- თანამედროვე ლიტერატურით (წიგნები ბეჭდური და ელექტრონული მატარებლებით) აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ამ მხრივ, 2014-დან 2016 წლის ჩათვლით ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პარალელურად შექმნილ იქნა დამატებითი ლიტერატურა და გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდი;
- მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, მუდმივად პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი.

სტუდენტთა კონტინგენტი - ამ ეტაპისათვის, კოლეჯის სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის მოცულობა განსაზღვრულია 620 სტუდენტით, რაც სრულად ივსება ყველა მიღებებისათვის (საგაზაფხულო და საშემოდგომო პროფესიული ტესტირებები). (იხ. დანართი).

სსსმ-პირები - სტუდენტთა მიღებებზე კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე 2016 წელს ჩარიცხულ იქნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენიმე აპლიკანტი. კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა რესურსები აღნიშნული სტუდენტებისათვის საუკეთესო პროფესიული განათლების მისაღებად. ამ მიზნით, მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (დამატებით იხილეთ დანართი - ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ).

თუმცა, ისევ პრობლემურია ლიფტის პრობლემა. კოლეჯი ამ დრომდე ფუქციონირებს შენობაში, რომელიც აშენებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მისამართზე - ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ. მე-5 და მე-6 მ/რაიონებს შორის (შემსრულებელი შპს „ანაგი“) და სადაც განთავსებულია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს რამდენიმე ასეული პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რომელთა გადაადგილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ლიფტის ამოქმედებასთან.

2015 წელს განხორციელდა შენობაში არსებული ლიფტის ტექნიკური შემოწმება სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ და გაიცა უარყოფითი ტექნიკური შემოწმების აქტი. აღნიშნულზე, კოლეჯმა 2015-2016 წლებში რამდენჯერმე მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კერძოდ, ზემოაღნიშნული შემოწმების აქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიფტის სამანქანო განყოფილებასთან უსაფრთხო და სტანდარტის შესაბამისი მისასვლელის მოსაწყობად, ასევე აქტში მითითებული სხვა პრობლემების აღმოფხვრისათვისა და დახმარებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების პროცესში. მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების საკითხი გადაწყვეტილ იქნას უახლესი პერიოდისათვის.

სამომავლოდ კოლეჯი გეგმავს გაზარდოს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არანაკლებ **950-მდე** ახალი პროგრამების დამატებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. კერძოდ, არსებობს დამატებით 200-300 სტუდენტის სწავლების შესაძლებლობა კოლეჯის შენობაში ახალი სასწავლო ფართების შექმნის საშუალებით, რასთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

➤ ჩვენი პროექტები:

ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალები - 2014 წლის 1 აპრილიდან კოლეჯში დაიწყო ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალების წარმოება. გავლილმა პერიოდმა აჩვენა მათი უპირატესობა, როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის კუთხით. კერძოდ, ქალაქის ჟურნალებთან შედარებით გაიზარდა მონიტორინგისა და კონტროლის შესაძლებლობები ტექნიკური და ოპერატიული კუთხით რეალურ დროში მიმართებაში, დაცვის შესაბამისი მექანიზმების ამოქმედების საფუძველზე. ამავდროულად, არ შეცვლილა ჟურნალების შინაარსობრივი და ფორმალური მხარე, თემატიკის, საგნების, დაწერების/არდასწერების, ადმინისტრაციული წარმოებისა და შევსების წესი.

აღნიშნულის საფუძველზე პროფესიული პედაგოგებისათვის შეიქმნა კარგი წინაპირობა სასწავლო პროცესში კომპიუტერულ ტექნიკის ახალი კუთხით გამოყენებისა და სწავლების პრაქტიკაში ადაპტირებისათვის, გაჩნდა მათი უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებები კომპიუტერული ტექნიკის მიღწევების კვალდაკვალ, მოხდა სწავლების პროცესში გარკვეული დროის დაზოგვა სალექციო ნაწილის გაზრდის მხრივ.

გარდა ამისა, ჟურნალების ციფრული ფორმა საშუალებას იძლევა ახალი სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის დამუშავება მოხდეს პროგრამულად, სწრაფად, რეალურ დროში წინასწარ დასახული ამოცანებისა და მიზნების საფუძველზე.

პროექტის პირველი საჯარო პრეზენტაცია მოხდა 2014 წლის ზაფხულში პროფესიული კოლეჯების წარმომადგენელთა შეხვედრაზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ თუკი ელექტრონული ჟურნალების პროექტი ჰპოვებს შემდგომ განვითარებას ერთიანი ელექტრონული ბაზისა და პროგრამის შექმნის მიმართულებით, ეს გაზრდის მის საერთო დაცულობას და გამოავლენს მის ახალ შესაძლებლობებს.

აღნიშნული პროექტის განვრცობას აქვს განვითარების მრავალი მიმართულება და მიზანშეწონილია, კერძოდ, სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ჩართულობის გაზრდა, ინფორმაციის დამუშავების ოპერატიულობა და ხელმისაწვდომობა, პროგრამული ანალიზის შესაძლებლობები, აღრიცხვიანობის შიდა და

გარე მონიტორინგის გაუმჯობესება და ა. შ.. საბოლოოდ, ის ერთ ელექტრონულ სივრცეში გააერთიანებს პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულ ყველა მხარეს - სახელმწიფო-კოლეჯი-პედაგოგი-სტუდენტი-მშობელი-დამსაქმებელი.

2016 წლიდან კოლეჯი ჩართულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის ერთიან მონაცემთა ბაზის ელექტრონული აღრიცხვიანობისა და შეფასების სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი).

ვებ-გვერდი წარმოება- 2014 წელს კოლეჯმა პედაგოგთა და სტუდენტთა მონაწილეობით შეიმუშავა ახალი ვებ-გვერდი - www.profgldani.ge. აქ დაინტერესებულ პირებს ყველანაირი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ კოლეჯისა და საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ. 2016 წელს ვებ-გვერდზე მნიშვნელოვანი ინფორმაციებისა და სიახლეები დადება აქტიურად ხორციელდებოდა.

პარტნიორობა კერძო სექტორთან - 2016 წელს აქტიურად გრძელდებოდა პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან. პრაქტიკის განხორციელებისთვის დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან.

კოლეჯის ძირითადი მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის, მათ შორის, თანამშრომლობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა შეძლონ პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებასა და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას.

მემორანდუმი კომპანია „რობერტ ბოში“ – ცენტრსა და საერთაშორისო კომპანია „რობერტ ბოშ“ შორის, პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, 2014 წელს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს ხელშეწყობას პროფესიული განათლების განვითარების, მშენებლობისა და მრეწველობის სფეროში მოწინავე ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების შემდგომი გამოყენებისათვის, გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას კომპანია „რობერტ ბოშ“ და კოლეჯს შორის ელექტრო ინსტრუმენტების სფეროში პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. „ბოში“ ყოველწლიურად გადასცემს კოლეჯს სხვადასხვა სასწავლო მასალას, ელექტროინსტრუმენტებსა და აღჭურვილობას, დახმარებას უწევს ტექნიკის სასწავლო პროცესში ინტეგრაციაში, ასევე ეხმარება კოლეჯს ელექტროინსტრუმენტების პრაქტიკული სასწავლო კლასის - „ბოში“-ს სასწავლო რესურს ცენტრის“ მოწყობაში, უზრუნველყოფს სახელოსნოების და პროფესიული პროგრამების აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით და სხვა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმატებული კურსდამთავრებულები მიიღებენ კომპანია „რობერტ ბოშის“ საერთაშორისო სერტიფიკატს. 2016 წლის 24 ივნისს კოლეჯში „რობერტ ბოშის“ საერთაშორისო ტრენერების მასშტაბური მასტერკლასი გაიმართა, რომელშიც კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები, ასევე ქართული სამშენებლო და საგზაო, დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლები, ადგილობრივი დილერები მონაწილეობდნენ. კომპანიის ტრენერების მიერ სისტემატურად ხდება კოლეჯის პერსონალის დატრენინგება და ეწყობა სემინარები, ადგილობრივი კომპანიების ჩართვით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გასაცნობად, რაც უწყობს პროფესიულ სასწავლებელსა და კერძო სექტორს შორის ახალი თანამშრომლობის განვითარებას.

თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან - კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, გამგეობასა და მუნიციპალიტეტებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან და საქალაქო სამსახურებთან. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად მობილიზებულ იქნა ყველა რესურსი თბილისიდან და რეგიონებიდან კოლეჯში სწავლების მეტი მსურველის მოსაზიდად.

თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან - ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისათვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, ასევე სხვადასხვა ტრენინგებისა -სემინარების ჩატარებას. ყველა ეს თანამშრომლობა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

➤ **ძირითადი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა:**

კოლეჯი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტების მოზიდვით თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონებიდან, თუმცა კოლეჯში არსებული სპეციფიური პროგრამებიდან გამომდინარე, რომელთაც მხოლოდ აქ ხორციელდება (მაგ. „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“ და „ავტომობილის დიაგნოსტიკოსი“) დიდია დაინტერესება დედაქალაქის მასშტაბით და საქართველოს რეგიონებიდან.

➤ **გამოწვევები:**

პროფესიული განათლების განვითარების მზარდი ტემპი ახალ გამოწვევებს უყენებს კოლეჯს. ახალი ტექნოლოგიების განვითარების მაჩვენებელი იმდენად მაღალია, რომ კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამები თანხმდება კერძო სექტორთან, რათა ისინი მუდმივი განახლების რეჟიმში ფუნქციონირებდნენ. გამოწვევებზე პასუხის ერთ-ერთი მიდგომაა კოლეჯის აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან იმ მოთხოვნების ძიებაში და რეალიზაციაში, რომლებიც მაქსიმალური ეფექტურობით გამოამჟღავნებენ პროფესიული სტუდენტის უნარებს და დაეხმარება მათ თვითრეალიზებაში. ამისათვის დაგეგმილია:

- ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება;
- კერძო სექტორის ჩართულობის დონის გაზრდა სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფაში;
- კერძო სექტორისა და სტუდენტების მეტი ჩართულობა კოლეჯის საქმიანობაში.

➤ **კოლეჯის განვითარების დასაბუთება:**

ა) **რეგიონის ეკონომიკური საჭიროებები** - კოლეჯი განლაგებულია საქართველოს დედაქალაქში, რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიკურად განვითარებად გეოგრაფიულ ადგილას. ეს ქმნის ყველა წინაპირობას კოლეჯი გადაიქცეს არ მხოლოდ ერთი კონკრეტული ეკონომიკური დასახელების, არამედ განვითარდეს, როგორც კავკასიაში რეგიონული პროფესიული სწავლების ცენტრი, რისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური სექტორის მუდმივი ჩართულობისა და შრომის ბაზარზე არსებული პულსაციის ანალიზი.

ბ) **რეგიონის სოციალური საჭიროებები** - კოლეჯი უზრუნველყოფს მისი სტუდენტების შრომითი და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მისაღწევი კომპეტენციების ჩამონათვალში ღირებულებების განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. შესაბამისად, სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას ყველა სახის სოციალური საჭიროებების პირთათვის.

გ) **რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებები** - კოლეჯის პროგრამებით გათვალისწინებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება. მათი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები უზრუნველყოფს რეგიონში მოთხოვნილი სამუშაოს განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლებას/ჩამოყალიბებას.

ამ მიზნით, მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციები დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების დასადგენად ამა თუ იმ პროფესიაზე. დამსაქმებელთა მოთხოვნებს, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამების სტანდარტებთან, ვითვალისწინებთ პროფესიული პროგრამების შემუშავებისას.

დ) **კონკურენტი დაწესებულებები და მათი პოზიციები საგანმანათლებლო ბაზარზე** - ისინი წარმოდგენილი არიან სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით. მათი რაოდენობა შეზღუდულია გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, ხოლო ზოგიერთი პროგრამების მხრივ კოლეჯი ერთადერთია ქვეყნის მასშტაბით. რადგან კოლეჯი განლაგებულია დედაქალაქის ყველაზე მჭიდროდ

დასახლებულ და ეკონომიკური პოტენციალის მქონე რაიონში, არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მიზანშეწონილია სასწავლო სიმძლავრეების დამატებითი გაზრდა. აღნიშნული სამუშაოები დაწყებულია და გაგრძელდება 2017 წლისათვის.

➤ **დაწესებულების განვითარების ხედვა ხუთწლიან პერსპექტივაში, სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, სამოქმედო გეგმა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა:**

ა) **დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის განსაზღვრა** - ამ ეტაპზე ცენტრს დასაქმებულია კვალიფიციური ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლებს პარტნიორ კომპანიებთან და დამსაქმებელთან.

დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი განსაზღვრულია და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (2015 წლის საწყის ეტაპზე 16 - ადმინისტრაციული პერსონალი, 12 - დამხმარე და მომსახურე პერსონალი, 80 - პედაგოგი). სათანადოდ იქნა გაწერილი თანამშრომელთა და პედაგოგთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები.

კოლეჯის ადმინისტრაცია ისევე როგორც წინა წლებში, 2016 წელსაც მუდმივად ზრუნავდა ადამიანური რესურსის შრომისუნარიანობის და პროფესიული ზრდისათვის. კოლეჯს საჭიროდ მიაჩნია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ადამიანური რესურსების, კერძოდ კი ხარისხის მართვაში ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება, რომელიც კოლეჯის მენეჯმენტის დღევანდელ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. კოლეჯის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პედაგოგთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დონის გასაუმჯობესებელ ტრენინგებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე კოლეჯში დაემატა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის სამტატო ერთი ერთეული, არსებობს კიდევ ერთი სამტატო ერთეულის დამატების აუცილებლობაც.

გარდა ამისა, 2016 წელს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის, ცენტრის წინაშე მდგარი ამოცანების, სამომავლო განვითარების გეგმების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელებისათვის მოხდა დამატებითი ადამიანური რესურსის მოზიდვა - ელექტრონულ ბაზებში მონაცემების ასახვის გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე მოხდა რეესტრის წარმოების სპეციალისტის დამატება.

ბ) **დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განსაზღვრა** - ცენტრში ფუნქციონირებს სასწავლო დანიშნულების 24 აუდიტორია/ლაბორატორია. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებისა და ხარისხის გაზრდისათვის კოლეჯი ახალი კომპიუტერული ტექნიკით, მათ შორის, დესკტოპებით აღიჭურვა. ამან სათანადოდ უზრუნველყო კომპიუტინგი/ინფორმატიკის მიმართულების პროფესიულ პროგრამებზე („ინფორმაციული ტექნოლოგი“, „ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)“, „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი“, „კომპიუტერული გრაფიკოსი“) სწავლების ინფრასტრუქტურული მოწყობა, სასწავლო ლაბორატორიებში პრაქტიკული სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიური სტანდარტების შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვა და გამართულ ფუნქციონირებას, რაც სამომავლოდაც გაგრძელდება.

ვინაიდან კოლეჯი გეგმავს სამომავლოდ გაზარდოს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, დამატებითი

ტექნიკურ-მატერიალური აღჭურვა სამომავლოდ გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ახალი პროგრამების ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში.

ახალი სახელოსნოები/ლაბორატორიები - ზოგიერთი პროგრამების განხორციელება მოითხოვს შესაბამისი სახელოსნოებისა და მოწყობილობების (ბოქსი, ავტომობილის ხიდური აშწე და ა.შ.) გამართვას, რაც გაზრდის სასწავლო პრაქტიკის ხარისხს და გააუმჯობესებს საბოლოო შედეგებზე გასვლის პროცესს. კოლეჯში აღნიშნული სახელოსნოების განთავსება შესაძლებელია ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

ფინანსური რესურსები - 2016 წელს კოლეჯის მიერ მიღებული სახელმწიფო ასიგნებები და სხვა ფინანსური რესურსი მოცემულია თანდართული დანართის სახით.

სახელმწიფო შესყიდვები - კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვითა და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში. სულ 2016 წელს გაფორმდა 128 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, მათ შორის, 127 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და ხოლო ერთი ხელშეკრულება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

უძრავი ქონება - კოლეჯის განლაგების ძირითად მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 6169.30 კვ.მ. (ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.11.10.012.026, 01.11.10.012.028, მიწა - 5937 მ.კვ.), (ქ. თბილისი, ასკურავას ქ. N7, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.12.20.030.022, მიწა - 536 მ.კვ.).

კოლეჯში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად და მოთხოვნების დაცვით, ხორციელდება კოლეჯის ძირითადი აქტივების, ნედლეული და მასალების, მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონლის, სათადარიგო ნაწილების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

2016 წლის 30 დეკემბრისათვის კოლეჯის კუთვნილი ქონების ფაქტიური ღირებულება შეადგენს 14610117 (თოთხმეტი მილიონ ექვსასათიათას ასრვიდმეტი) ლარს, აქედან კოლეჯის აქტივები შეადგენს 14130862,76 ლარს, ხოლო დანარჩენი 214051 ლარის ქონება არის ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მარაგების სახით.

ა) დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, გაწერილია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი კვალიფიციური პერსონალით, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და აღჭურვილობით, შენობა აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს და სხვა. მოქმედებს გადამზადებული საგანგებო სიტუაციების შტაბი (ე.წ. საევაკუაციო შტაბი), გაიმართა გაგრილებისა და გათბობის სისტემები, სხვადასხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა. კოლეჯს 24-საათიან რეჟიმში იცავს სახელმწიფო დაცვის სამსახური.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვითა და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაცულია და კოლეჯში ძირითადი საშუალებების, ტექნიკის, ფულადი აქტივების და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მათ შორის, მცირეფასიანი ინვენტარი) დაცვა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსაზღვრის პროცესში ინტენსიურად ვთანამშრომლობთ და ვითვალისწინებთ კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა მოთხოვნებს

(მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, სიმძლავრეები, პოტენციური მომწოდებლები, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი საჭიროებები, უსაფრთხოების წესების დაცვა და სხვა). ისინი დაინტერესებულნი არიან კოლეჯის საქმიანობითა და მომავალი კურსდამთავრებულთა დასაქმებით მათ კომპანიებში. მოცემული ეტაპისთვის აღნიშნული ჩართულობა არის დამაკმაყოფილებელი და მზარდია.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, ბიზნესის მეტი ჩართულობა განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს კოლეჯის მოკლევადიანი/გრძელვადიანი გეგმებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში.

გ) დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სამომავლო ხედვის განსაზღვრა - კოლეჯი ახორციელებს 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (საგნობრივ) და 8 ე.წ. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აქედან გამომდინარე სამომავლოდ გეგმავს არსებული პროგრამების მომდევნო საფეხურებისა და ახალი პროგრამების დამატებას შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

დ) სტუდენტთა ტრანსპორტირებისა და საერთო საცხოვრებლის საჭიროების განსაზღვრა - სტუდენტების ნაწილი ჩამოსულია საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან, მათ შორის, მთიანი და საზღვრისპირა რეგიონებიდან, ასევე ნაწილი დადის დედაქალაქის მიმდებარე დასახლებებიდან, რაც უქმნით პრობლემებს ბინით უზრუნველყოფისა და გადაადგილებაში. ამიტომ, საერთო საცხოვრებლით ერთი მხრივ, გადაჭრის მათი საცხოვრებლისა და ტრანსპორტირების საკითხებს მეორე მხრივ, მოიზიდავს ნიჭიერ და პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებულ ახალგაზრდებს რეგიონებიდან, პროფესიული განათლების დაუფლების საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და ბავშვთა სახლებიდან. შედარებისთვის, ბინით უზრუნველყოფის პრობლემის მქონე კონტინენტის სტატისტიკა შარშანდელთან შედარებით შეინიშნება სტუდენტთა რაოდენობის მატების პარალელურად თითქმის ორჯერ. მთლიანობაში, საერთო საცხოვრებლის არსებობა გაზრდის კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობას, მათ მოტივაციას და შემდგომი დასაქმების პერსპექტივებს. ამ მხრივ, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან დაწყებულია თანამშრომლობა ქ. თბილისში, მახალდიანის ქ. N7-ში (ყოფილი ასკურავას ქ. N7), მდებარე კოლეჯის კუთვნილ შენობაში 50 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის პროექტირების მიზნით.

➤ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მოცემული ეტაპისთვის პარტნიორების ჩართულობა არის დამაკმაყოფილებელი. სიტუაციის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს ინფრასტრუქტურული და პროგრამული განვითარების ახალი ღონისძიებები სამომავლო რისკების შემცირების მიზნით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

www.profgldani.ge

მისამართი: ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.;

ტელ: 570503001

ხელმძღვანელი: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ნოდარ ხარაზიშვილი